



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარამიძე კონსტანტინე მოსეს ძე

ბარამიძე კონსტანტინე მოსეს ძე [7 (20). II. 1914, თბილისი, – 8. VI. 1978, იქვე], მეცნიერი სამთო ელექტრომექანიკისა და საწარმოთა ავტომატიზაციის დარგში. საქართველო. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1974). ტექ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1954), საქართველო. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1962). დაამთავრა საქართველო. ინდუსტრ. ინ-ტის სამთო ფაკ-ტი (1938). 1939-იდან კითხულობდა ლექციებს საქართველო. პოლიტექ. ინ-ტში, 1954–72 იყო იქვე სამთო საწარმოთა ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის კათედრის გამგე, 1973–77 კი ამავე ინ-ტის პრორექტორი. ბ-ის შრომები ეხება სამთო საწარმოთა ავტომატიზაციისა და კიდული ბაგირგზების თეორიის საკითხებს. იყო 16 გამოგონების ავტორი, მ. შ. ერთი (საშახტო ამწეების რეგულატორი და კიდული ბაგირგზის ავტომატიზებული ამძრავი) დაპატენტებულია შვეიცარიაში, იტალიაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ავტომატური რეგულირების თეორიის საფუძვლები, თბ., 1966; სამგზავრო კიდული საბაგირო გზები, თბ., 1969; Автоматизация шахтной подъемной машины с центробежным тормозом, М., 1953; Новая система автоматизированного привода канатной дороги маятниково типа, Тб., 1971. (თარგმნ. გერმ. და ინგლ. ენებზე).
